



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 330

ქალაქი ქუთაისი 7 დეკემბერი 2016 წელი

„თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის № 67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში, კერძოდ, გარე რეკლამის განთავსების გეგმის ლოტი №40 შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო რეესტრის წარმოება განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, შოთა მურღულიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი

ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმა

ლოტი № 40

№	რეკლამის განსათავსებელი ადგილის ნომერი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება			გარე რეკლამის განთავსების ადგილის ღერძის კოორდინატები		შენიშვნა
		დასახელება	საჯარო რეესტრის ამონაწერის ნომერი	მისამართი	x	y	
225	ტროტუარი	03.01.21.508	ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა №50-ის სამხრეთით (ტროტუარი)	303082,66 303082,83	4681219,15 4681217,95	ორმხრივი	

შენიშვნა: № 40 ლოტით განსაზღვრულ ადგილზე სარეკლამო საშუალება უნდა მოეწყოს მიწისპირა ნიშნულიდან არანაკლებ +0,10 მ.-ისა. სარეკლამო საშუალება უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე მასალებით დამზადებულ მოცულობას, რომლის გაბარიტული ზომები უნდა იყოს ჰორიზონტალურად 1.10 მ. სიგანისა და ვერტიკალურად 3.00 მ. სიგრძისა, სისქით – არაუმეტეს, 0.30 მ.-ისა. სარეკლამო საშუალება უნდა იყოს კონსტრუქციულად მდგრადი, თანამედროვე საშუალებებით განათებული, უნდა შეეფერებოდეს ქალაქის იერსახეს, სამშენებლო ნორმებსა და წესებს, ასევე, საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი